

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030437443718015

04-197/ო

13 / ივლისი / 2015 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის 04-429/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში – „პროგრამა“) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში 2015 წლის 30 მარტის N139 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების ამოქმედების შესაბამისად, პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1¹. დადგენილების N1.1 დანართის პირველი პუნქტის „ბ.ა.ბ“ ქვეპუნქტით, N1.3

დანართის მე-2 პუნქტის „გ.ა.ბ“ ქვეპუნქტით და N1.4 დანართის პირველი პუნქტის „ბ.ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების სატარიფო არეალის გამოთვლის მიზნით, პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირებული დაწესებულების მიერ სამედიცინო დაწესებულებების საინფორმაციო პორტალზე (შემდგომში - „საინფორმაციო პორტალი“) წარმოდგენილი ინფორმაციის დაჯგუფება, 2015 წლის 1 აპრილიდან, არამატერიალიზებული ვაუჩერებისთვის განხორციელდეს, საინფორმაციო პორტალზე არსებული ICD-10 დიაგნოზის კოდების დაჯგუფებით ორი მაჩვენებლის მიხედვით - ონკოლოგიური ნოზოლოგიები და სხვა ნოზოლოგიები; ხოლო NCSP ჩარევის კოდები დაჯგუფდეს 6-ნიშნა კოდების დონეზე, ერთი მომსახურების ფარგლებში ჩატარებული ჩარევის რაოდენობით.“.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის, აგრეთვე, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი), ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ინფორმირება წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი).

4. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 1 აპრილიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე